ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 20 ოქტომბერი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ავტომშენებლის N33-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა) და გ. ტაბიძის N38-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების გაზიფიცირებისა და შიდა გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა და შიდა საქვაბე მოწყობილობა) სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 1400 (ერთი ათას ოთხასი) ლარი) შესყიდვის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის მალხაზ ბასილაძის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში ავტომშენებლის N33-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა) და გ. ტაბიძის N38-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების გაზიფიცირებისა და შიდა გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა და შიდა საქვაბე მოწყობილობა) სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №1391. 15.10.2014 წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: ირაკლი ავალიანმა და მალხაზ ბასილაძემ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ქუთაისში ავტომშენებლის N33-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა) და გ. ტაბიძის N38-ში მდებარე სახანძრო სამაშველო განყოფილების

გაზიფიცირებისა და შიდა გაზიფიცირების (მაგისტრალიდან შენობაში შეყვანა და შიდა საქვაბე მოწყობილობა) სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი „არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე